პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 121 (6176)

1978 წ. 22 ივნისი ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ТБИЛИСИ
МЕЖДУНАРОДНЫЕ ЛЕГКОАТЛЕТИЧЕСКИЕ СОРЕВНОВАНИЯ
1978
XIV
НА ПРИЗЫ ГАЗЕТЫ ПРАВДА
თბილისი, 16-17 ივნისი



ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონი. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგას მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. იაშჩენკო. შესანიშნავ საბჭოთა სპორტსმენს წარმატებას ულოცავს გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ი. ვოროჟეიკინი (სურათზე — მარჯვნივ).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# დაუვიწყარი დღეების ექო

**16 ივნისის** გვიანი საღამოა. ზა-...ოვიელმა მძლეოსანმა ვლადი-...ერ იაშჩენკომ ეს-ესაა დაიპყრო ...რეკორდო სიმაღლე. თბილისის „დინამოს" სტადიონზე შეკრებილ ...ულშემატკივართა მრავალათასია-...ი არმია მქუხარე ტაშითა და ...ვაციებით ეგებება ახალი რეკორ-...ის დაბადებას და ამ დიდებული „...სპექტაკლის" ბედნიერ გმირს, ...ლები ცისკენ რომ აღუმართავს ...ა ფოტორეპორტიორების ალყაში ...ქცეული სარბენი ბილიკისკენ გა-...ლას ლამობს, თითქოს „დაუგეგ-...ვი" საპატიო წრის შემოვლას ...პირებსო.

...ამ დროს მოხდა „გაუთვალისწი-...ნებელი" რამ: აღმოსავლეთ ტრი-...ბუნაზე მოკალათებულმა 10-12 ...წლის კანჭა გოგო-ბიჭებმა, აქამდე ...მოთმინებითა და ყურადღებით რომ ...ადევნებდნენ თვალს ათლეტური ...ორთაბრძოლების „ძიების" ასპარეზობას, ...ერთსულოვნად" გადაინაცვლეს ...ათვარ მძლეოსნურ არენაზე და... ...შეჯიბრება გააჩაღეს. ერთნი სირ-ბილში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, სხვებმა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომით სექტორებს მიაშურეს. ზოგიერთებმა კი მსაჯის როლი იკისრეს.

რაზე ფიქრობდა ვლადიმერ იაშჩენკო, როცა 234 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო? რა თქმა უნდა, ახალ რეკორდზე, ახალ გამარჯვებაზე!

. რა ძალამ აიძულა ის „თავზედი" გოგო-ბიჭები რიგითი მაყურებლის უბრალო „ეთიკა" დაერღვიათ და ათასობით ადამიანების თვალწინ ღამის 11 საათზე სპორტული პაექრობა გაეჩაღებინათ. — ვლადიმერ იაშჩენკოს ბრწყინვალე ნახტომმა თუ ტრიბუნაზე გამეფებულმა ატმოსფერომ? ალბათ ერთმაც და მეორემაც, მაგრამ უფრო კი იმ მომწუსხველმა ძალამ, რასაც საერთოდ ფიზკულტურა და სპორტი, კერძოდ, კი დიდი სპორტი თავის თავში აერთიანებს — საკუთარი შესაძლებლობების შეცნობის სურვილმა, მომავალ რეკორდსმენობაზე და ჩემპიონობაზე ოცნებამ.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს და, მძლეოსნობის ქართველმა მოყვარულმა, როგორც იქნა, იხილა ისეთი რანგის შეჯიბრება, რომელიც ვერც გულგრილს დატოვებს ვერავის და ვერც უკვალოდ ჩაივლის. აი ამ უკანასკნელი გარემოების გამო ეს მშვენიერი სანახაობა სულ სხვა, განსაკუთრებული კუთხით წარმოგვესახა. ეს არის „პრავდის" პრიზების გათამაშების შეფასება ქართული მძლეოსნობის წინსვლის, მისი მომავლის თვალთახედვით. საამისო საფუძვლები თუ წანამძღვრები, რომ შეჯიბრება მართლაც შეიძლება გამოდგეს ჩვენს რესპუბლიკაში „სპორტის დედოფლის" განვითარების ბიძგის მიმცემად, უკვე რეალურად არსებობს; „დინამოს" ახალი, მშვენიერი სარბენი ბილიკები, მშვენებარე მძლეოსნური მანეჟი და რაც უფრო

(დასასრული მე-3 გვ.).

# მუჰამედ ალი კრივი მოსკოვის რინგზე

**20 ივნისს** მოსკოვში კრივის საინტერესო საღამო გაიმართა. ჩვენმა სტუმარმა, ცნობილმა ამერიკელმა ზანგმა მოკრივემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მძიმე წონაში და მსოფლიო ორგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის მუჰამედ ალიმ საბჭოთა სპორტსმენებთან საჩვენებელი შეხვედრა გამართა. მოლაპარაკების თანახმად მუჰამედ ალიმ 6 რაუნდი ჩაატარა სამ მეტოქესთან, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ. 2-2 რაუნდი ჩაატარეს ცნობილმა სპორტსმენებმა პ. ზაევმა, ე. გორსტკოვმა და ი. ვისოცკიმ.

ცსკა-ს დარბაზში მოსულმა მრავალრიცხოვანმა სპორტის მოყვარულმა ნახა შინაარსიანი კრივი, მაღალი ოსტატობა — არა მარტო ალისა, რომელიც საუცხოო ტექნიკისთვის, დახვეწილი დარტყმებისთვის, მხურვალე ოვაციებით დააჯილდოვეს მაყურებლებმა. საჩვენებელ ბრძოლებში გამოვიდნენ, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. რიბაკოვი და 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვ. სოლომინი, ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის ს. ხაჩატრიანი და ხ. ლუკმანოვი და სხვა საბჭოთა მოკრივეები. (საკდესი).

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) XII ტურის შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები.

„დინამო" კ. — „დნეპრი" 5:1. პირველ ტაიმში „დნეპრის" კარში ბურთი გაიტანა ბურიაკმა. შესვენების შემდეგ კონკოვმა, ბლოხინმა (2) და ბერეჟნოიმ კიდევ ოთხჯერ აიღეს მეტოქის კარი. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია კოვალიოვი.

გაფრთხილებულია პეტრუხინი („დნეპრი").

აღსანიშნავია, რომ ბლოხინმა ამ მატჩში გაიტანა თავისი მე-100 და 101-ე ბურთები სსრ კავშირის ჩემპიონატებში.

დუბლიორები — 1:1.

„ზენიტი" — „სპარტაკი" 3:1. ანგარიში 32-ე წუთზე გახსნა სპარტაკელმა შავლომ. გოლი 64-ე წუთზე გაქვითა ტიმოფეევმა. შემდეგ კი კლემენტიევმა ორჯერ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

დუბლიორები — 0:1.

„ზარია" — „ლოკომოტივი" 1:2. ვოროშილოვგრადელი შევლიუკის მიერ მე-3 წუთზე გატანილი გოლი ტაიმის დამთავრებამდე გაქვითა ავერიანოვმა. მატჩის დასასრულს „ლოკომოტივი" დააწინაურა სოლოვიოვმა.

დუბლიორები — 0:0.

„ქაირათი" — „შახტიორი" 0:1. გოლი მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა ლატიშმა.

„დინამო" მ. — „ჩერნომორეცი" 2:3. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს გაკმანმა, უსტიმჩიკმა და შეპელმა, ხოლო დამარცხებულთაგან — კოლესოვმა და წერეთელმა (პენალტი).

გაფრთხილებები მიიღეს მოსკოველებმა გერშკოვიჩმა და ნოვიკოვმა.

დუბლიორები — 2:0.

ცსკა — „ნეფთჩი" 1:1. ბაქოელი ყურბანოვის მიერ 55-ე წუთზე გატანილი ბურთი 5 წუთის შემდეგ გაქვითა ბელენკოვმა.

დუბლიორები — 3:0.

### გათამაშების ცხრილი

#### უმაღლესი ლიგა

#### სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 12 | 8 | 2 | 2 | 14—4 | 18 |
| ცსკა | 12 | 6 | 6 | 0 | 19—9 | 18 |
| „ნეფთჩი" | 12 | 6 | 4 | 2 | 15—12 | 16 |
| „დინამო" მ. | 11 | 6 | 3 | 2 | 12—6 | 15 |
| „დინამო" კ. | 12 | 5 | 4 | 3 | 17—14 | 14 |
| „ჩერნომორეცი" | 12 | 5 | 4 | 3 | 11—13 | 14 |
| „შახტიორი" | 11 | 4 | 4 | 3 | 12—9 | 12 |
| „არარატი" | 12 | 3 | 6 | 3 | 14—11 | 12 |
| „ტორპედო" | 12 | 4 | 3 | 5 | 17—11 | 11 |
| „ფახთაქორი" | 12 | 3 | 5 | 4 | 12—12 | 11 |
| „ზარია" | 11 | 3 | 4 | 4 | 11—17 | 10 |
| „ლოკომოტივი" | 11 | 3 | 4 | 4 | 9—15 | 10 |
| „სპარტაკი" | 12 | 2 | 3 | 7 | 8—4 | 7 |
| „დნეპრი" | 12 | 1 | 5 | 6 | 12—17 | 7 |
| „ქაირათი" | 12 | 2 | 2 | 8 | 11—20 | 6 |
| „ზენიტი" | 10 | 1 | 3 | 6 | 6—16 | 5 |

## I ლიგა

### მატჩი კემეროვოში

20 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი შეხვედრები. ქუთაისის ტორპედოელები კემეროვოში შეხვდნენ ადგილობრივ „კუზბასს" და დამარცხება განიცადეს ანგარიშით 0:1.

**სხვა მატჩები** დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:2, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:1, ასკ (ოდესა) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:1, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „დინამო" (მინსკი) 1:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „თერგი" (გროზნო) 1:4.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტ." | 16 | 9 | 4 | 3 | 21—12 | 22 |
| ასკ რ. | 16 | 7 | 7 | 2 | 28—14 | 21 |
| „ნისტრუ" | 16 | 8 | 4 | 4 | 25—16 | 20 |
| „ყუბანი" | 16 | 8 | 4 | 4 | 23—13 | 20 |
| „ტორპედო" | 16 | 8 | 4 | 4 | 23—17 | 20 |
| „ტავრია" | 16 | 7 | 5 | 4 | 24—15 | 19 |
| „კარპატი" | 15 | 7 | 4 | 4 | 16—12 | 18 |
| „დინამო" მნ. | 15 | 6 | 6 | 3 | 22—16 | 18 |
| „თერგი" | 17 | 7 | 3 | 7 | 24—25 | 17 |
| „კუზბასი" | 16 | 7 | 3 | 6 | 18—17 | 17 |
| „სპარტ." ი.-ფ. | 16 | 7 | 2 | 7 | 19—26 | 16 |
| „ჟალგირისი" | 15 | 3 | 9 | 3 | 18—16 | 15 |
| „პამირი" | 16 | 3 | 9 | 4 | 14—14 | 15 |
| ასკ ოდ. | 16 | 5 | 4 | 7 | 17—21 | 14 |
| „მეტალურგი" | 16 | 3 | 7 | 6 | 15—23 | 13 |
| „ურალმაში" | 16 | 4 | 3 | 9 | 11—22 | 11 |
| „შინიკი" | 13 | 3 | 5 | 5 | 8—13 | 11 |
| „დინამო" ლ. | 16 | 2 | 7 | 7 | 16—23 | 11 |
| „სპარტ." ორ. | 17 | 3 | 3 | 11 | 12—25 | 9 |
| „კოლხოზჩი" | 16 | 2 | 5 | 9 | 14—28 | 9 |



# ტანვარჯიში

## ტაშკენტის სტარტების უვერტიურა

**ამ დღეებში** ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ფოთის, რუსთავის, გორის, ზუგდიდის, კასპის, ლანჩხუთის, სამტრედიის, მცხეთისა და საჩხერის საუკეთესო მოსწავლე-ტანმოვარჯიშეები. აქ გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში.

...გულშემატკივრებით სავსე დარბაზში მუსიკა ისმის, ერთმანეთს ენაცვლებიან ტანმოვარჯიშე გოგონები და ბიჭები, მოხდენილად და ლაღად ასრულებენ ვარჯიშებს თბილისელი ქ. ციმაკურიძე და ბათუმელი ი. ქორიძე, სამტრედიელი მ. ღვინერია და ლანჩხუთელი მ. მოქია.

უყურებ ამ მომხიბლავ სანახაობას და შენში ერთდროულად შემოდის მუსიკაც და სილამაზეც...

სამდღიანმა შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე გამოავლინა, ბევრმა შეასრულა სპორტის ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და I თანრიგის ნორმატივი.

— სამწუხაროდ, ამ შეჯიბრებაში ტრავმის გამო რამდენიმე ძლიერი ტანმოვარჯიშე ვერ ღებულობს მონაწილეობას, — ამბობს რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ო. მიქელაძე, — მალე ჩვენი ნაკრები გუნდი ლესელიძეში გაემგზავრება, იქ ჩავატარებთ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას. წინ ხომ მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადა გველის. იმედი გვაქვს, რომ ტაშკენტში თავს არ შევირცხვენთ...

გთავაზობთ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს:

**გუნდური ჩათვლა.** I ჯგუფი. თბილისი — 957,266 ქულა, ქუთაისი — 820,971, აფხაზეთი — 474,36; II ჯგუფი. სამხრეთ ოსეთი — 333,382, ლანჩხუთი — 300,172, ფოთი — 267,5.

**პირადი ჩათვლა. სპორტის ოსტატის პროგრამით.** გოგონები. ი. ქორიძე (აჭარა) — 72,05, ქ. ციმაკურიძე — 70,9, ი. ხატიაშვილი (ორივე — თბილისი) — 70,1. ვაჟები. ა. ლეონტიევი (თბილისი) — 95,75, მ. მოქია (ლანჩხუთი) — 82,2; **ოსტატობის კანდიდატის პროგრამით.** გოგონები. ი. ბაბაიანი — 73,2, ს. ფილატოვა — 72,25, მ. ხატიაშვილი (სამივე — თბილისი) — 71,55. ვაჟები. გ. ბადრიძე — 105,85, გ. სირაძე — 104,1, ა. ხაჩატურიანი (სამივე — თბილისი) — 101,5; **პირველთანრიგოსნის პროგრამით.** გოგონები. მ. ღვინერია (სამტრედია) — 67,75, ტ. პოლეშჩუკი (ჭიათურა) — 67,2, ი. ნერგაძე (სამტრედია) — 65,25. ვაჟები. ვ. ბარნაბიშვილი — 103,0, გ. თორთლაძე — 100,0, გ. ციბაძე (სამივე — თბილისი) — 91,15.

მ. ბედიაშვილი,
მ. წამალაშვილი.



ს უ რ ა თ ზ ე: რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი ირინე ქორიძე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

# მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადა

**ქუთაისის** „განთიადის" საცურაო აუზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა შეჯიბრება, რომელშიც 210-მდე სპორტსმენი გამოდიოდა. დებიულებით, ჩათვლას იძლეოდა I თანრიგისა და უკეთესი მაჩვენებელი. ეს ასპარეზობა გენერალური რეპეტიცია იყო სსრ კავშირის მოცურავეთა ჩემპიონატის წინ, რომელიც ივლისში, მოსკოვში გაიმართება.

მოსწავლეთა სპარტაკიადის რამდენიმე შედეგი გვახარებს და იმედს გვაძლევს, ეს უპირველეს ყოვლისა გოგონათა და ვაჟთა გულაღმა მოცურავეებზე ითქმის. შეჯიბრებაში სულ ხუთი სპორტის ოსტატის შედეგი იქნა ნაჩვენები და ხუთივე სწორედ გულაღმა მოცურავეებს ეკუთვნით.

100 მეტრზე გოგონათა გულაღმა ცურვაში, როგორც გამარჯვებულმა თბილისის განთიადელმა მ. კუჭაიძემ, ისე მეორე პრიზიორმა, თბილისის განთიადელმა ქ. კიკაბიძემაც პირველად აჩვენეს სპორტის ოსტატის შედეგები.

გაგვახარა თბილისის განთიადელმა პ. ერემაძემაც, რომელმაც ბიჭებს შორის 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

სპორტის ოსტატის შედეგები აჩვენეს, აგრეთვე, 200 მეტრზე გოგონათა თავისუფალი სტილით მოცურავეებმა, სადაც საუკეთესო იყო თბილისის დინამოელი მ. დანელიშვილი, მისი თანაგუნდელი ნ. ზალდასტანიშვილი გამარჯვებულს მხოლოდ ერთი მეათედი წამით ჩამორჩა.

ყველა ზემოჩამოთვლილ სპორტსმენს იმედის თვალით ვუყურებთ და, თუ ისინიც მონდომებით, სწორი გზით ივარჯიშებენ, გვჯერა, იმედი იმედად არ დაგვრჩება.

ამ შეჯიბრებაში სულ ერთი რესპუბლიკური რეკორდი გაუმჯობესდა. ეს თბილისის დინამოელმა გოგონამ ნ. ზალდასტანიშვილმა (მწვრთნელი დ. მაჭარაშვილი) შესძლო 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.34,1. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ რეკორდის ჭერი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს არ სცილდება.

სუსტი შედეგები იქნა ნაჩვენები ბრასისტთა შეჯიბრებაში. აქ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივებს მხოლოდ 200 მეტრზე მოცურავე I და II ადგილზე გასული გოგონები შესწვდნენ. დანარჩენების მაჩვენებლები I თანრიგის ნორმატივს არ აღემატება. და ეს მაშინ, როცა ამ სახეობაში ერთ დროს ყველაზე ძლიერნი ვიყავით.

და ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შეჯიბრების შედეგები გაცილებით მაღალი იქნებოდა, ასპარეზობაში მონაწილეობა რომ მიეღოთ ჩვენს ლიდერებს გ. არზუმანოვს, ა. ჩაჩიბაიასა და ა. გორბუნოვს. ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებთან ერთად იმყოფებოდნენ შეკრებაზე.

პ. რეშეტნიაკი.

* * *

## ტექნიკური შედეგები

**გ ო გ ო ნ ე ბ ი.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ი. გერასიმოვა („განთიადი", ქუთაისი) — 1.04,6, მ. დანელიშვილი — 1.04,9, ნ. ზალდასტანიშვილი (ორივე — „დინამო", თბილისი) — 1.05,0; **200 მ.** დანელიშვილი — 2.17,3, ზალდასტანიშვილი — 2.17,4, გ. კოროტკოვა („დინამო", თბილისი) — 2.24,2; **400 მ.** დანელიშვილი — 4.51,0, აზმაიფარაშვილი („დინამო", თბილისი) — 4.58,0, ნ. კოჟუხარი („განთიადი", აჭარა) — 5.09,0; **800 მ.** აზმაიფარაშვილი — 10.02,9, დანელიშვილი — 10,03,9, ი. გერასიმოვა — 10.32,6; **ბრასი. 100 მ.** ვ. ჟენენკოვა („დინამო", თბილისი) — 1.24,3, ტ. მოროზოვა („განთიადი", რუსთავი) — 1.24,5, ს. სოვდაგრიშვილი („განთიადი", თბილისი) — 1.27,0; **200 მ.** ჟენენკოვა — 2.57,8, ლ. მახონინა („შრომითი რეზერვები", თბილისი) — 3.01,5, სოვდაგრიშვილი — 3.02,1; **გულაღმა 100 მ.** მ. კუჭაიძე („განთიადი", თბილისი) — 1.11,6, ქ. კიკაბიძე („დინამო", თბილისი) — 1.11,8, ლ. ციბულსკაია („დინამო", თბილისი) — 1.15,0; **200 მ.** კუჭაიძე — 2.35,7, კიკაბიძე — 2.38,1, ი. გერასიმოვა („განთიადი", ქუთაისი) — 2.38,2; **ბატერფლაი. 100 მ.** ზალდასტანიშვილი — 1.11,9, ი. ციბულსკაია — 1.12,9, ლ. ციბულსკაია (ორივე — „განთიადი", თბილისი) — 1.14,0; **200 მ.** ზალდასტანიშვილი — 2.34,1, აზმაიფარაშვილი — 2.40,8, ლ. ციბულსკაია — 2.47,1; **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** მოროზოვა — 2.38,7, ზალდასტანიშვილი — 2.40,5, კიკაბიძე — 2.42,9; **400 მ.** ზალდასტანიშვილი — 5.31,2, მოროზოვა — 5.34,2, ლ. ციბულსკაია — 5.43,3.

**ბ ი ჭ ე ბ ი.** თავისუფალი სტილი. **100 მ.** ნ. მოროზოვი („ვოდნიკი", აჭარა) — 55,5, ს. სტრუჩალინი („დინამო", თბილისი) — 58,6, ა. პოტაპოვი („განთიადი", ქუთაისი) — 58,9; **200 მ.** მოროზოვი — 2.03,5, პოტაპოვი — 2.06,7, ა. შირინკინი („დინამო", თბილისი) — 2.08,1; **400 მ.** მოროზოვი — 4.23,9, სტრუჩალინი — 4.24,3, შირინკინი — 4.27,9; **1500 მ.** შირინკინი — 17.51,1, ი. დიანოვი („ვოდნიკი", აჭარა) — 18.04,5, სტრუჩალინი — 18.08,1; **ბრასი. 100 მ.** ო. გოგელიძე („განთიადი", ქუთაისი) — 1.15,3, ს. ტატუბალინი („დინამო", აფხაზეთი) — 1.15,4, გ. სერიოჟინი („დინამო", თბილისი) — 1.15,4; **200 მ.** ტატუბალინი — 2.40,9, სერიოჟინი — 2.41,0, გ. უმეშკოვი („განთიადი", რუსთავი) — 2.43,7; **გულაღმა. 100 მ.** ვ. რაზოვსკი („განთიადი", ქუთაისი) — 1.05,9, პ. ერემაძე — 1.06,5, გ. ფსუტური (ორივე — „განთიადი", თბილისი) — 1.07,3; **200 მ.** ერემაძე — 2.17,0, ვ. ქობულოვი („განთიადი", თბილისი) — 2.25,2, ა. მახარაძე („განთიადი", აჭარა) — 2.25,2; **ბატერფლაი. 100 მ.** ლ. ოგანესიანი („ვოდნიკი", აჭარა) — 1.05,3, ს. ნოვოსელოვი („შრომითი რეზერვები", თბილისი) — 1.06,5, ვ. მაჭარაშვილი („დინამო", თბილისი) — 1.07,5; **200 მ.** ნოვოსელოვი — 2.24,8, გ. გოგოლაძე („განთიადი", თბილისი) — 2.26,2, ი. მაჭავარიანი („დინამო", თბილისი) — 2.28,1; **კომპლექსური ცურვა. 200 მ.** მოროზოვი — 2.22,0, ხ. ცხვარაშვილი („ლოკომოტივი", თბილისი) — 2.24,5, პ. ჯიბლაძე („განთიადი", თბილისი) — 2.25,0; **400 მ.** ცხვარაშვილი — 5.09,9, ჯიბლაძე — 5.14,9, ს. ბოროდინოვი („განთიადი", რუსთავი) — 5.15,9.

**გუნდური:** თბილისი, აჭარა, ქუთაისი, რუსთავი, აფხაზეთი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ზალდასტანიშვილი ასპარეზობისას.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმედის თვალით

## ცურვა

# ფარიკაობა

## თბილისელ მოსწავლეთა დიდი უპირატესობით









**10 გუნდის** 190-მდე მოფარიკავე ჩაება საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების ფინალში. თავიდანვე ცხადი გახდა თბილისელ მუშკეტერთა უპირატესობა. მათ როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობებში ჩემპიონის წოდება არავის დაუთმეს. გუნდური მეორე ადგილი ქუთაისელ სპორტსმენებს ხვდათ წილად. აღსანიშნავია აჭარელი მოფარიკავეების წარმატება, რომლებმაც მესამე ადგილი დაიკავეს. საქმე იმაშია, რომ ადრე ეს სახეობა უყურადღებობის გამო ჩამორჩენილი იყო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრების მწვრთნელს ვლადიმერ ქოჩიაშვილს ვთხოვეთ გაეზიარებინა ასპარეზობაზე მიღებული შთაბეჭდილება.

— ადგილები კანონზომიერად განაწილდა — გაიმარჯვეს იმათ, ვინც ჭეშმარიტად უძლიერესები იყვნენ. რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატები საკმაო ხანია შევარჩიეთ. ამ შეჯიბრებამ ჩვენი ვარაუდი დაადასტურა. რაც შეეხება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადას, იქ ექვსეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

ჯ. კასრაძე.

## ტექნიკური შედეგები

**რ ა პ ი რ ა.** გოგონები. ქ. ერემაშვილი (თბილისი), ნ. ონიანი, მ. ავეტიკოვა (ორივე — ქუთაისი). ვაჟები. გ. გელაშვილი, ვ. ბფციაური, გ. ცირეკიძე (ყველა — თბილისი).

**ხ მ ა ლ ი.** პ. პაიჭაძე, დ. თურქია (ორივე — თბილისი), დ. ხიტირი (აჭარა).

**დ ა შ ნ ა.** გ. დარბაიძე (ჭიათურა), პ. კორშუნოვი (აფხაზეთი), ზ. სვანიძე (ქუთაისი).

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის ჩემპიონები: მარცხნიდან — ქ. ერემაშვილი, გ. გელაშვილი, პ. პაიჭაძე და გ. დარბაიძე.

ავტორის ფოტოები.

## ელიან მომავალ ოლიმპიელებს

**მიმდინარე** წლის ოქტომბერში უზბეკეთის დედაქალაქის ოცი საუკეთესო სპორტული ბაზა უმასპინძლებს მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრების მონაწილეებს. სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ხოჯაევი ხელმძღვანელობს, სწორედ იმაზე იყო საუბარი, თუ როგორ ემზადებიან სპორტული ბაზების მესვეურები ამ დიდი სპორტული ფორუმისთვის.

ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნორჩ სპორტსმენთა განკარგულებაში იქნება საუკეთესო სტადიონები და სპორტული დარბაზები, მოედნები და საცურაო აუზები. სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი სპორტის 21 სახეობიდან მხოლოდ ერთი სახეობა — აკადემიური ნიჩბოსნობა — ჩატარდება „გასვლით" — დნეპროპეტროვსკში.

სპარტაკიადის დაწყებამდე მწყობრში ჩადგება რამდენიმე ახალი სპორტული ბაზა, მათ შორის საფარიკაო დარბაზი, რომელიც „ფახთაქორის" სპორტული არენის გვერდით შენდება.

## [illegible]

### ◆ ახმეტა

ოთხ დღეს გრძელდებოდა მოსწავლეთა რაიონული შეჯიბრება „იმედის სტარტების" პროგრამით. უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის უძლიერესი იყო დუისის საშუალო სკოლის IVა კლასი, უფროსასაკელთა ასპარეზობაში კი ყველას აჯობა ქისტაურის საშუალო სკოლის VIIბ კლასმა.

* * *

ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. ასაკობრივი საფეხურების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ: გოგონები. ს. მამადალიევი, ლ. მახატლიშვილი, ნ. აფციაური; ვაჟები. გ. საგიშვილი, თ. მარგოშვილი, გ. ჩორგოლიანი.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ახმეტის სკოლა-ინტერნატი, ქისტაურის საშუალო სკოლა, მატნის 1-ლი საშუალო სკოლა.

თ. ხინჩლაშვილი.

### ◆ ცხინვალი

გაიმართა „კოლმეურნეს" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სამბოში. წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: რ. კოტაევი, ა. ცხოვრებოვი, დ. მაჭარაშვილი, პ. კორაევი, თ. შავლოხოვი, მ. ქისიშვილი, ა. მარგიევი, თ. და ვ. კარგიევები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო ცხინვალის რაიონის კოლექტივი.

ვ. მელქოევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, 16-17 ივნისი







# დაუვიწყარი დღეების ექო

დასასრული

მთავარია, იმ ბიჭუნებისა და გოგონების ჩვენს წარმოდგენაში ჩამოყალიბებული „ზომაგადასული“ აღფრთოვანება, წერილის დასაწყისში რომ ვახსენე.

მაგალითის ძალა ყველასთვის ცნობილია. არა ერთი და ორი სახელოვანი სპორტსმენი მიჰყოლია თავის დროზე ამ ძალას და ჩვენ გვჯერა ეთიოპიელი სტაიერების, იფტერისა და კიდირის, კუბელი ხუანტორენასა და იაშჩენკოს უთუოდ სპორტის სიყვარულით ნაშობმა ოსტატობამ არ შეიძლება სასიკეთო მარცვალი არ ჩააგდოს იმ დღეს სტადიონზე მოსულ ასობით ყმაწვილის სულში, არ შეიძლება არ გაღვივდეს და ბოლოს ნაყოფიც არ მოგვცეს, თუ რა თქმა უნდა, ამ ხელსაყრელ ნიადაგს აგრერიგად საჭირო საქმის თავმოსაბმელად გამოიყენებენ ქართული მძლეოსნობის მესვეურები.

ორი დღის განმავლობაში სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში იყო ჩვენი დედაქალაქი, ორი დღის მანძილზე „დინამოს“ სტადიონის აგურისფერ მძლეოსნურ სარბიელზე უშეღავათო სპორტული პაექრობა ჰქონდათ გაჩაღებული მსოფლიოს 20 ქვეყნის საუკეთესო მძლეოსნებს. მშვენიერი სანახავი იყო იმ დღეებში ჩვენი სტადიონი — გალამაზებული, განახლებული, სპორტული ქინითა და მეგობრული სულით აღსავსე. დიდძალი მაყურებელი დაესწრო „სპორტის დედოფლის“ ამ ჭეშმარიტ დღესასწაულს, ამდენი ხანი რომ ელოდა თბილისი.

შეჯიბრების ორგანიზატორებმა, სტადიონის დირექციამ, მშენებლებმა, სპეციალისტებმა, მსაჯებმა, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებმა ძალა და ენერგია არ დაიშურეს ამ დიდი სპორტული ფორუმის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებით გაართვეს თავი ამ რთულსა და საპატიო ამოცანას. ამაზე მეტყველებს „პრავდაში“ და სხვა ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნებული თბილი წერილები, საზღვარგარეთელი სტუმრების, ჟურნალისტების მადლობის სიტყვები, მასპინძელთათვის რომ არ იშურებდნენ.

...სტადიონს რომ ვტოვებდი, თვალწინ მედგა ვლადიმერ იაშჩენკოს ფენომენალური ნახტომი, ამ ასპარეზობის გვირგვინად რომ იქცა, თვალწინ მედგნენ ის კანჭა გოგო-ბიჭებიც. ვინძლო იმ საღამოს გამართული მათი „შეჯიბრება“ დიდი სპორტის უკიდეგანო ასპარეზისკენ მომავალი გზის დასაწყისად იქცეს.

ე. ბერიშვილი.

• • •

სურათებზე: სარეკორდო ნახტომის წინ; ავტოგრაფის მთხოვნელთა უწყვეტი ნაკადი; პრესცენტრში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ვ. იაშჩენკომ პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

გამოხმაურება წერილზე: „რატომ გვეკარგება ტალანტები?“

# სად ხართ, ენთუზიასტებო?

ბედნიერთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებმაც ნახეს და არასოდეს დაავიწყდებათ ბორის პაიჭაძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, მურთაზ ხურცილავასა და სხვათა ვირტუოზული თამაში. ახსენებ ამ გვარებს და ბუნებრივია გაგახსენდება ქართული ფეხბურთი თავისი მდიდარი ტრადიციებით. სწორედ ასეთმა ფეხბურთელებმა აიყვანეს ხელოვნების დონემდე სპორტის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა. დიახ, „დინამო“ და მისი „ვარსკვლავები“ ყოველთვის გამოირჩეოდნენ თამაშის საკუთარი მანერით — დახვეწილი ტექნიკით, სისწრაფით, იმპროვიზაციით, შემტევი ფეხბურთით.

თბილისის „დინამო“ დღესაც განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს. მაგრამ საკითხავია რამდენი ფეხბურთელის ხარჯზე ხდება ყოველივე ეს. მოდით იმითაც დავინტერესდეთ, ჰყავთ თუ არა მათ ღირსეული შემცვლელები? — ლაპარაკია ექსტრა-კლასის ფეხბურთელებზე, ასე მტკივნეულად რომ განიცდის ქართული ფეხბურთი მათ ნაკლებობას.

მოვა დრო დიდი სპორტიდან წავლენ დღევანდელი „დინამოს“ წამყვანი ფეხბურთელები, ასე რომ, თაობათა ცვლა გუნდში გარდაუვალია — დადგება ეს პერიოდი და „გამამართლებელი საბუთიც მოიძებნება“, — „გუნდი იმიტომ თამაშობს ცუდად, რომ მას თაობათა ცვლის პროცესმა მოუწიაო“ — განა დღეს არ ვიცით, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ფეხბურთისათვის „მოხუცდებიან“ ყიფიანი, გუცაევი, მაჩაიძე, ჩინჩალაშვილი?, მათი ღირსეული ცვლის მომზადებისათვის კი დღეიდანვეა ზრუნვა საჭირო, ალბათ ამიტომაც გამოქვეყნდა შოთა მერკვილაძის წერილი „რატომ გვეკარგება ტალანტები?“. სასიამოვნოა, რომ მან გამოხმაურება ჰპოვა, ავტორები საფუძვლიანად უჭერენ მხარს აღნიშნულ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა თბილისში დაარსდეს და გაიხსნას ორწლიანი ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (ან უმაღლესი დაოსტატების სკოლა ფეხბურთში), სკოლა, რომელშიც ჩაირიცხებიან რჩეულთა შორის რჩეული მოზარდები, რომლებიც ამ სკოლაში სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას.

როგორც აღვნიშნეთ, მერკვილაძის წერილმა გამოხმაურება ჰპოვა, მაგრამ გვაკვირვებს უშუალოდ ქართული ფეხბურთის მესვეურთა დუმილი ამ საკითხის ირგვლივ. მათთვისაც ხომ ცნობილია, რომ მოზარდებთან მუშაობისას ფეხბურთის სწავლების საფეხურები დარღვეულია.

ქართული ფეხბურთის ბრწყინვალე მცოდნე და მოამაგე ანდრო ჟორდანია თავის მოგონებებში წერს — „განა არ არის დრო მივხედოთ საფეხბურთო სკოლების მუშაობის საკითხს?, — რაც უფრო მალე მივხედავთ ამ საქმეს, მით უკეთესია ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის“. — აი, ანდრო ჟორდანიას კიდევ ერთი ნათქვამი — „გამოშვება უნდა ნიშნავდეს სწავლების დამთავრებას, სპორტსმენის ჩამოყალიბებას და არა შუა გზაზე მიტოვებს, ახლანდელი ფეხბურთის სკოლადამთავრებულნი საშუალო სკოლიდან გარიცხულ მოწაფეებს გვანან. ხოლო მათი მწვრთნელები მეთევზეებს, რომლებიც დაფლეთილი ბადით თევზაობენ. ხედავ, ბადეს შესანიშნავი თევზები მოჰყვება, მაგრამ წინასწარ იცი, რომ ზემოთ არც ერთი არ ამოვა“.

დიახ, „ბადე დიდი ხანია დაფლეთილია“, მისი შეკეთებისთვის კი დღემდე ვერ მოინახა რეალური გზები. ვფიქრობთ, ამ მხრივ საყურადღებო წინადადება შემოგვთავაზა შოთა მერკვილაძემ თავის წერილში. ნუთუ არავინ გამოეხმაურება ამ წერილს ფეხბურთის მესვეურთაგან?

პ. პატარქალიშვილი,

# უნგრელები აღიარებენ მსაჯის კომენტარი

უნგრეთის გაზეთები ვრცელ კომენტარს უძღვნიან არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის წინასწარი ტურნირის შედეგებს I ჯგუფში, სადაც უნგრეთის გუნდმა ყველა შეხვედრა წააგო და ბოლო ადგილი დაიკავა.

გაზეთი „ნეპშპორტი“ ათავსებს უნგრეთისა და საფრანგეთის გუნდების მატჩის ანგარიშს და აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრაშიც კი, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ჩემპიონატის მსვლელობისთვის, უნგრელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი აჩვენეს ისეთი, რომ სპეციალისტთა ყურადღება დაემსახურებინათ. საფრანგეთის ნაკრებმა ღირსეულად გაიმარჯვა და დაამტკიცა, რომ სხვა, უფრო იღბლიანი კენჭისყრის შემთხვევაში გავიდოდა 8 უძლიერესს შორის.

„მადიარ ჰირლაპის“ სპორტული მიმომხილველი აღნიშნავს: „უნგრელ ფეხბურთელებს უკეთ შეუძლიათ თამაში, მაგრამ ამას ვერ დაუმტკიცებენ მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას. ჩვენი გუნდისთვის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ მის წინაშე დასახულია ახალი, ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებული ამოცანები, სადაც მასთან ერთად შესარჩევ ტურნირში ითამაშებენ სსრ კავშირის, საბერძნეთისა და ფინეთის გუნდები, არგენტინის ჩემპიონატმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ის, რაც აქამდეც იყო ცნობილი: „ბევრი, ძალზე ბევრი სამუშაოა გასაწევი, რათა მივაღწიოთ უნგრული ფეხბურთის პროგრესს“.

• • •

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ბუენოს-აირესიდან: „საფრანგეთისა და არგენტინის გუნდების მატჩის არბიტრმა, შვეიცარიელმა ჟან დიუბამ კომენტარი გაუკეთა თავის იმ ორ გადაწყვეტილებას, რომელმაც ფრანგების აზრით, გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

საფრანგეთის ნაკრების კარში ტრეზორის უნებლიე ხელით თამაშის გამო პენალტის დანიშვნას მან ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ეს ეპიზოდი შემდგომში რამდენიმეჯერ გულდასმით ვნახე ტელევიზიით და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ახლა სასტვენს არ მივცემდი. მაგრამ მინდორზე გადაწყვეტილების მიღება საჭიროა სულ რამდენიმე წამში...“

დიუბამ აღიარა, რომ როცა ფრანგი ფეხბურთელი სიქსი წაიქცა არგენტინელთა საჯარიმო მოედანზე, იგი შორს იმყოფებოდა შემთხვევის ადგილიდან, მაგრამ მაინც გაუსვა ხაზი, რომ „სიქსის დაცემა მეტისმეტად თეატრალური და მოჩვენებითი იყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# ამაო ცდა

**მაინცდამაინც** მაშინ თამაშობდა ცუდად ბ. სპასკი სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში, როცა მასში საზონათშორისო ტურნირის მონაწილეთა შერჩევა ხდებოდა. ამიტომ იგი ვერ გავიდა მსოფლიო პირველობის ორი ციკლის (1957-60, 1960-63 წწ.) გათამაშებაში. ეს ყველას აოცებდა, რადგან სპასკი (30. I. 1937) 18 წლის ასაკში უკვე დიდოსტატი და ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი იყო, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული პრეტენდენტთა 1956 წლის ტურნირში.

და აი, 1963 წელს ნავსი გატყდა. სსრ კავშირის 31-ე ჩემპიონატის ფინალში სპასკიმ I-III ადგილები გაიყო და მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მოხვდა. მართალია, დამატებით შეჯიბრებაში ჩემპიონის სახელისთვის მხოლოდ II ადგილი ხვდა, სამაგიეროდ, ზონალურში პირველი იყო. სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი კი III ადგილზე გავიდა. მას დ. ბრონშტეინმაც გაასწრო (II ადგილი).

1964 წლის მაის-ივნისში, ამსტერდამში, მოეწყო VI საზონათშორისო ტურნირი. იგი ყველაზე მარათონული აღმოჩნდა (24 მონაწილე იყო). მასში პერსონალურად მხოლოდ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ვ. სმისლოვი და მ. ტალი დაუშვეს.

პირველად ამ ტურნირების ისტორიაში ფინიში ერთდროულად ოთხმა მოჭადრაკემ გადაკვეთა: I-IV ადგილები გაიყვეს სმისლოვმა, ტალმა, სპასკიმ და ბ. ლარსენმა (დანია) — 17-17 ქულა. ამ შეჯიბრებაში უკანასკნელად მოქმედებდა დისკრიმინაციული წესი, რომლის მიხედვით პრეტენდენტთა ტურნირში თამაში შეეძლო ერთი ქვეყნის მხოლოდ სამ წარმომადგენელს. ამიტომ შტეინი (V ადგილი, 16,5) და ბრონშტეინი (VI, 16) ხელოვნურად ვერ მოხვდნენ პრეტენდენტებში. მათ მაგიერ დაუშვეს იუგოსლაველი ბ. ივკოვი (VII, 15) და უნგრელი ლ. პორტიში, რომელმაც VIII-IX ადგილები გაიყო ამერიკელ ს. რეშევსკისთან (14-14 ქულა) და მერე მას დამატებითი მატჩი მოუგო.

ჯერ კიდევ 1959 წელს იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ წინადადება შეიტანა, რათა პრეტენდენტი მატჩების სერიაში გამოვლენილიყო. წინადადებას სხვებმაც დაუჭირეს მხარი და ფიდე-მ მიიღო იგი. დაწესდა, რომ 8 პრეტენდენტი ითამაშებს მეოთხედ, ნახევარფინალურ (თითოეულში 10 პარტია) და ფინალურ (12 პარტია) მატჩებს.

ტრადიციისამებრ, პრეტენდენტთა ჯგუფში პერსონალურად მიიწვიეს პრეტენდენტთა V (1962 წ.) ტურნირში გამარჯვებულნი — პ. კერესი და ე. გელერი (ეს უკანასკნელი მ. ბოტვინიკის მაგიერ, რომელმაც თამაშზე უარი განაცხადა).

1965 წლის გაზაფხულზე პრეტენდენტები ბრძოლას შეუდგნენ.

მეოთხედფინალში სპასკი კერესს შეხვდა (რიგა, 3-15 აპრილი). გამოცდილ დიდოსტატს ახალგაზრდა ლენინგრადელმა მოჭადრაკემ უშეღავათო თამაში დაუპირისპირა და გაიმარჯვა, თუმცა მატჩი „ფალსტარტით" დაიწყო. 0:1, 0,5:1,5, 1,5:1,5, 2,5:1,5, 3,5:1,5, 4:2, 4,5:2,5, 4,5:3,5, 5:4, 6:4 (+4—2=4).

მცირე შესვენების შემდეგ ნახევარფინალში სპასკის მოუწია ბრძოლა გელერთან, რომელმაც მეოთხედფინალში სმისლოვი დაამარცხა — 5,5:2,5.

სპასკი — გელერის მატჩიც რიგაში მოეწყო (26 მაისი — 9 ივნისი). ახალგაზრდა დიდოსტატმა გაანადგურა მეტოქე: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2:1, 2,5:1,5, 3:2, 4:2, 4,5:2,5, 5.5:2,5 (+3=5).

ფინალში სპასკის მოუხდა თამაში ტალთან, რომელმაც მანამდე სძლია პორტიშს (5,5:2,5) და ლარსენს (5.5:4,5). ტალთან მატჩამდე სპასკიმ I-II ადგილები გაიყო სოჭის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში.

სპასკი — ტალის მატჩს უმასპინძლა თბილისმა (1-26 ნოემბერი). უკიდურესობამდე დაძაბულ შეხვედრას ბოლოს ტალმა ვერ გაუძლო. 0.5:0,5, 0,5:1,5, 1,5:1,5, 2:2, 2,5:2,5, 3:3, 3.5:3,5, 4:4, 5:4, 6:4, 7:4 (+4—1=6).

სპასკიმ აისრულა დიდი ხნის ოცნება: მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლება.

მატჩამდე, 1965-66 წლების მიჯნაზე სპასკიმ მონაწილეობა მიიღო ჰასტინგსის საშობაო ტურნირში (I-II).

პეტროსიანი, როგორც კი გამეფდა ჭადრაკის სამყაროში, ცდილობდა, რაც შეიძლება მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონოდა მოწინავე დიდოსტატებთან, ამიტომაც ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირებში.

1966 წლის 11 აპრილს მოსკოვის ესტრადის თეატრში დაიწყო პეტროსიან — სპასკის მატჩი (დამთავრდა 9 ივნისს). მეტოქეებს 24 პარტია უნდა ეთამაშად. ყაიმის (12-12) შემთხვევაში პეტროსიანი ჩემპიონად რჩებოდა. პეტროსიანს სეკუნდანტობას უწევდა ი. ბოლესლავსკი, სპასკის — ი. ბონდარევსკი. მსაჯებად იყვნენ დიდოსტატები ა. ო'კელი (ბელგია) და მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია).

ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა. პეტროსიანი დაწინაურდა ლამაზად მოგებული VII პარტიის შემდეგ. სპასკიმ მხოლოდ XIX პარტიაში გამარჯვებით გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ეს იყო „პიროსის გამარჯვება". მან მეტი ველარ შეძლო. პეტროსიანმა კვლავ ხელთ იგდო ინიციატივა.

აი, მატჩის მსვლელობაც: 0,5:0.5, 1:1, 1,5:1,5, 2:2, 2,5:2.5, 3:3, 4:3, 4,5:3,5, 5:4, 6:4, 6.5:4,5, 7:5, 7:6, 7,5:6.5, 8:7, 8,5:7,5, 9:8, 9,5:8,5, 9,5:9,5, 10,5:9,5, 11:10, 12:10, 12:11, 12,5:11,5 (+4—3=17).

პეტროსიანის გამარჯვება სავსებით დამსახურებული იყო. ო'კელის აზრით, სპასკი სათანადოდ ვერ მოემზადა დებიუტებში, ზედმეტად ნავარჯიშევი შეუდგა მატჩს.

პეტროსიანს საზეიმო ვითარებაში კიდევ სამი წლით დაულოცეს ჭადრაკის მეფის ტახტი.

თ. გიორგაძე.



ქალაქ კიროვის ფაბრიკა „იდეალში" ოლიმპიადის სტუმრებისთვის ლამაზ სუვენირებს ამზადებენ (მარცხნივ); ოლიმპიური დათუნიას გამოსახულებიან სუვენირულ ვიმპელს ამზადებს მოგილევსკის მხატვრულ ნაკეთობათა ფაბრიკა (ცენტრში); მოლდავეთის ბენდერსკის სარაიონთაშორისო სამრეწველო კომბინატი წლეულს ასი ათასზე მეტ ფეხბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის ოლიმპიურ სიმბოლოიან ბურთს გამოუშვებს.

საკდესის ფოტო.

## ჭადრაკი

### ბელიავსკი — ერთპიროვნული ლიდერი

კიევის ვაჟთა I საერთაშორისო ტურნირში ერთპიროვნულად ლიდერობს დიდოსტატი ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 10 ქულა 12-დან. იგი ყველას უშეღავათოდ ეთამაშება და პარტიას პარტიაზე იგებს. უახლოესი მეტოქე, ოდესელი დიდოსტატი ლ. ალბურტი 2,5 ქულით ჩამორჩება ბელიავსკის. 3 ქულით ნაკლები აქვთ დიდოსტატებს ვ. სავონს (ხარკოვი) და ი. ფარაგოს (უნგრეთი) და საერთაშორისო ოსტატს ს. პალატნიკს (ოდესა).

სათამაშო დარჩა სამი ტური.

### პირველობა გაიყვეს

ნიკშიჩში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. I-II ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ბ. გულკომ (სსრ კავშირი) და ი. ტიმანმა (ჰოლანდია) — 8-8 ქულა. III ადგილზეა დიდოსტატი რ. ვაგანიანი (სსრ კავშირი) — 7.

# ოლივეირას „სიხარულის ცეკვა"

**პრაღა.** ბრატისლავის საერთაშორისო შეჯიბრებაში 17 მეტრსა და 44 სანტიმეტრზე გადახტომის შემდეგ სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენმა, ბრაზილიელმა ჟოაო კარლოს დე ოლივეირამ ტრიბუნების წინ „სიხარულის ცეკვა" შეასრულა. „ნუ გაგიკვირდეთ ემოციის გამოხატვა, — უთხრა მან გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის" კორესპონდენტს, — მსოფლიო რეკორდი (17 მ 89 სმ) შუამთიანეთის პირობებში დავამყარე. ეს მიღწევა ჩემთვის თავისებური ოლიმპიური საგზურია მოსკოვში..."

— ყველაზე მეტად რა გიზიდავდათ ბრატისლავის სტარტზე?

— ძველ ნაცნობთან და კარგ მეგობართან ვიქტორ სანეევთან, რომელსაც დიდ პატივს ვცემ და მის თანამემამულე ანატოლი პისკულინთან შეხვედრა.

— თქვენი ახლო მომავლის მიზანი?

— მოსკოვის ოლიმპიადა. ვფიქრობ, იგი მაგნიტივით იზიდავს ყველა მოყვარულ სპორტსმენს.

—როგორ ფიქრობთ ასპარეზობას ოლიმპიადა-80-ში?

— უნდა გავიმარჯვო.

— ვინ მიგაჩნიათ ყველაზე სერიოზულ მეტოქედ?

— მზად ვიქნები ყოველგვარი მოულოდნელობისთვის. მოსკოვში ნებისმიერი ღირსების მედალს ასეთივე „ცეკვით" აღვნიშნავ.

— რა შედეგი უნდა აჩვენოს 1980 წელს ოლიმპიურმა ჩემპიონმა თქვენს სახეობაში?

— ძნელი სათქმელია. ალბათ 17 მ და 40 სმ. მაგრამ მთავარია სტაბილურად გამოსვლა, სხვანაირად გაძნელდება ჩასათვლელ ექვსეულში მოხვედრაც კი.

— რატომ?

— ოლიმპიადა უბრალო ტურნირი არ არის. სპორტსმენები 4 წლის განმავლობაში ემზადებიან მისთვის. ოლიმპიადის სტარტზე მაღალი კლასის სპორტსმენები გამოვლენ. ასე რომ ყველაფერს გადაწყვეტს არა მარტო მათი ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური მომზადება.

— რას აკეთებთ კარგი სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად?

— უპირველესად, ვცდილობ „ვიცხოვრო ყოველგვარი პრობლემების გარეშე".

— ცოლიანი ხართ?

— არა.

— თქვენი სურვილები?

— სამხედრო სასწავლებელში სწავლა.

— თქვენი ჰობი?

— ცეკვები და მუსიკა.

— გყოფნით დრო ყველაფრისთვის?

— მე ყოველთვის ვცდილობ როგორმე გამოვნახო იგი. ისე ცხოვრება მონოტონური იქნება... (საკდესი).

## ხუმრობა

### საოცარი გულახდილობა

**გაზეთ** „ტორონტო სტარის" კორესპონდენტი შეეკითხა პროფესიული ჰოკეის ერთ-ერთ გამოჩენილ წარმომადგენელს ფილ ესპოზიტოს — რა უნდა გაკეთდეს, რომ ამერიკისა და კანადის ჰოკეისტთა მატჩებზე ჩხუბი შეწყდეს.

— ამ საქმეს არაფერი უშველის, — განაცხადა ფილ ესპოზიტომ — მე, მაგალითად, მაინც ვიჩხუბებ, ცოცხითაც რომ ვითამაშო...

### დათვი ეცოდებათ

**ცხოველების** დაცვის ამერიკულმა საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა „სპორტულ შოუსთან" დაკავშირებით, რომელიც ქ. სიდრ ფოლზის (აიოვას შტატი) ცირკში ეწყობა. შოუს განმავლობაში გაწვრთნილი დათვი, რომელსაც ვიქტორი ჰქვია, ეჭიდება ნებისმიერ მსურველს მაყურებელთაგან.

პროტესტის ავტორები აცხადებენ, რომ ბევრი პროფესიონალი მოჭიდავე, ვითომცდა მაყურებლები ვართო, იყენებენ ამ გარემოებას და დათვთან ჭიდაობით შესანიშნავად ვარჯიშობენ. ეს მოჭიდავეები, პროტესტის ავტორების სიტყვით, „დათვს ექსპლოატაციას უწევენ".

### იანვრიდან სექტემბრამდე

**34 წლის** ინგლისელი სპორტსმენი ჯონ მერილი იანვარში ლონდონიდან გავიდა, რათა ინგლისისა და შოტლანდიის სანაპირო ზოლზე 12 ათასი კილომეტრი დაეფარა. იგი ამ საინტერესო მოგზაურობის დასრულებას და კუნძულის შემოვლის შემდეგ ისევ ლონდონში დაბრუნებას სექტემბრის შუა რიცხვებისთვის აპირებს.

რედაქტორი
ა. გასილაია.

## ჰოკეი

# „ძალიან მინდოდა მოსკოვში ჩამოსვლა"

— **ძალიან** მინდოდა მოსკოვში ჩამოსვლა, — საკდესის კორესპონდენტს უთხრა „შერემეტიევოს" აეროდრომზე 20 ივნისს საბჭოთა დედაქალაქში ჩასულმა კანადის ბოლო წლების საუკეთესო ჰოკეისტმა „მონრეალ კანადიენსის" ფორვარდმა გი ლაფლერმა. — და აი, ჩემი მეუღლე და მე აქ ვართ, როგორც ტურისტები. სამწუხაროდ, ჰოკეისტთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისა და 1980 წლის ოლიმპიადის დედაქალაქში მხოლოდ ორ დღეს გავჩერდებით. მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ — დავათვალიერებთ ქალაქს, რომელზეც ბევრი გვსმენია, ვნახავთ წითელ მოედანს, კრემლს.

ახლა შვებულება მაქვს. სეზონი ხანგრძლივი და ძნელი იყო, თუმცა წარმატებით: „მონრეალ კანადიენსმა" კვლავ მოიპოვა სტენლის თასი, მე კი საუკეთესო ჰოკეისტთა ექვსეულში მოვხვდი. ცაგურებზე 15 სექტემბრამდე, ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბების სავარჯიშო შეხვედრების დაწყებამდე არ დავდგები. ველოსიპედით კი ბევრს ვისეირნებ აგვისტოში.

დიდად ვაფასებ საბჭოთა ჰოკეისტებს, განსაკუთრებით ისეთ ოსტატებს, როგორიც არიან: ხარლამოვი, ტრეტიაკი, იაკუშევი, ვასილიევი, მალცევი, რომელიც ჩემსავით მეათე ნომრით თამაშობს. ტელევიზიით ვნახე პრაღის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი — ეს იყო დიდი ჰოკეი!

გთხოვთ ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით, — თქვა ბოლოს ლაფლერმა, — საბჭოთა ჰოკეისტებს მიულოცოთ ჩემპიონობა.

ყინულის სარბიელზე მომავალ შეხვედრამდე. (საკდესი).

„განთიადის" ცენტრალური საბჭო 24-25 ივნისს სოფელ წოდორეთში (ლისის სასოფლო საბჭო) ატარებს **ორდღიან ტურისტულ შეკრებას, რომელიც კომკავშირის მე-60 წლისთავს ეძღვნება.**

შეკრების დღეებში ჩატარდება შეჯიბრებები მუდ კომპლექსის მრავალჭიდში.

დასაწყისი 24 ივნისს, 10 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვესა. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოგლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 07908